| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას, იჯარით 1 წლის ვადით სარგებლობის უფლებით, აღებული აქვს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩის მიმდებარედ; II მიკრო/რაიონში 11ა კორპუსში მდებარე შენობა. მიწის საერთო ფართი - 2045 კვ.მ; შენობის საერთო ფართი - 2086,15 კვ.მ.<br><br>ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის 01 მარტს და ძალაში შედის 2022 წლის 01 ივლისიდან.<br><br>შენობის ნაწილში, სადაც განთავსებულია აღნიშნული დაწესებულება, ასევე არის ფართი, რომელიც არ ეკუთვნის ამ დაწესებულებას. შენობის ეს ნაწილი სხვა სუბიექტის საკუთრებაშია, სადაც განთავსებულია სატრენაჟორო დარბაზი. ორივე დაწესებულებას აქვს საერთო შესასვლელი. დაწესებულებამ წარმოადგინა ნოტარიულად დამოწმებული შეთანხმება შენობის ამ ნაწილის მეპატრონესთან. შეთანხმების მიხედვით ფართის მეპატრონე იღებს ვალდებულებას, რომ მის საკუთრებაში არსებული დარბაზით, სამუშაო დღეებში, ისარგებლებს 18:00-ის შემდეგ. დაწესებულებას ასევე მიეცა რეკომენდაცია, რომ გაკეთდეს ცალკე შესასვლელი სატრენაჟორო დარბაზამდე და გაიმიჯნოს ამ ორი დაწესებულების შესასვლელები. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩის მიმდებარედ;<br>დასახლება ვარკეთილი, მიკრო/რაიონი II, კორპუსი 11ა. |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 01.19.20.003/090 |
| *კვ.მ.* | მიწის საერთო ფართი - 2045 კვ.მ; შენობის საერთო ფართი - 2086,15 კვ.მ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | 2022 წლის 01 მარტის იჯარის ხელშეკრულება. |
| შეფასება | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| ზ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობაში განთავსებულია 32 საკლასო ოთახი, 7 განაყოფის ოთახი, სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკასთან ინტეგრირებული კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, სამზარეულოს და სასადილოს დარბაზი, ექიმის და საიზოლაციო კაბინეტები, სამასწავლებლო და ადმინისტრაციის კაბინეტები.<br><br>საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ასაკის გათვალისწინებით, შესაბამისი მერხით, სკამებითა და სასკოლო დაფებით. ოთახები აღჭურვილია კომპიუტერებითა და ტელევიზორებით.<br><br>დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების (მათ შორის I კლასი) საკლასო ოთახები განთავსებულია შენობის მეოთხე სართულზე. საკლასო ოთახებში ფანჯრებთან კედელს გააჩნია ისეთი ფორმა, რომელიც მცირეწლოვანმა მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს ფანჯარაზე ადვილად მისასვლელად, რაც ქმნის საფრთხეს, რომ მოსწავლე აღმოჩნდეს ღია ფანჯარაზე ასეული. დაწესებულებას, აღნიშნულ ფანჯრებზე, გარეთა მხრიდან აკრული აქვს წვრილი თოკის ბადე, თუმცა მან შესაძლოა ვერ გაუძლოს მოსწავლის წონას. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ უფრო მყარი ბადით ან გისოსებით (რომლების გაღებაც შესაძლებელი იქნება საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში) ჩაენაცვლებინა აღნიშნული ბადეები. ან მცირეწლოვანი მოსწავლეების საკლასო ოთახები განთავსებულიყო პირველ სართულზე. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში, აღნიშნული კლასების ფანჯრებზე დაამონტაჟა სპეციალური დამჭერები, რაც ხელს უშლის ფანჯრის იმ ზომამდე გაღებას, რომ მოსწავლე გაეტიოს მასში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტები;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების მე-4 სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი, ხოლო პირველ სართულზე საცურაო აუზი, ასევე სკოლის შენობის ეზოში განთავსებულია სპორტული მოედანი. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნულ სპორტულ დარბაზებსა და მოედანზე ჩატარდება სპორტის გაკვეთილები, ასევე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები და აქტივობები. რაც შეეხება სკოლის სააქტო დარბაზს, ამ სივრცეში ჩატარდება კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები, სხვადასხვა შეხვედრები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება<br>• მომსახურების ხელშეკრულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც შეიცავს ყველა იმ დასახელების აღჭურვილობას, რაც მოცემულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ №572 ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტულ საორიენტაციო პაკეტში.<br>ლაბორატორიაში განთავსებულია ნიჟარა და ონკანი, ასევე კარადა ცდების ჩატარებისთვის, რომელსაც აქვს გამწოვი.<br>სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება,<br>• შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ვიზიტის დროს წყლის, ელ. ენერგიის და ბუნებრივი აირის მომხმარებლად დაწესებულება არ იყო დარეგისტრირებული.<br>დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შენობა დაწესებულებას გადაეცემოდა 2022 წლის 01 ივლისიდან. შესაბამისად აბონენტად დარეგისტრირება მანამდე ვერ მოხერხდებოდა. წარმომადგენლის თქმით, განაცხადს გააკეთებენ მაშინვე, როგორც კი შენობის გამოყენებაზე უფლება შევიდოდა ძალაში. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნება საბჭოს სხდომაზე.<br><br>დაწესებულებას აქვს გენერატორი, თუმცა არ აქვს წყლის ავზი, რომლითაც წყლის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში მოხდებოდა დაგროვილი წყლის გამოყენება. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ აქვთ აუზი, სადაც არსებული წყალი, როგორც ტექნიკური წყალი შეიძლება გამოყენებული იყოს ასეთ შემთხვევაში. რაც შეეხება სასმელ წყალს, დაწესებულება ასევე აღჭურვილია წყლის დისპენსერებით.<br><br>ყველა ოთახში არის ბუნებრივი განათება, თუმცა 2 საკლასო ოთახში არის მეორადი ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში სინათლე ხვდება დერეფნიდან, რომელიც თავი მხრივ უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. აღნიშნულ ოთახებში დაწესებულებამ დაამატა დამატებითი ნათურები, რომ საკლასო ოთახებში იყოს საჭირო რაოდენობის სინათლე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი წიგნები. წიგნადი ფონდი შეადგენს 2575 წიგნს. სკოლა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით OpenBiblio. ბიბლიოთეკაში განთავსებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს თითო ეგზემპლიარი. დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ილუსტრირებული მასალები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ჟურნალების „ისტორიანი“, „მასწავლებელი“, ,,ახალ განათლება’’ და “National Geographic” გამოწერასთან დაკავშირებით.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება), რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ყველა ეგზემპლიარი დამოწმებულია სათანადო წესით და მითითებულია საინვენტარო ნომერი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შესაბამისი კატალოგით და კარტოთეკებით;<br>2. მკითხველთა ფორმულიარით;<br>3. ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით;<br>4. ჩუქების ხელშეკრულებით;<br>5. მიღება-ჩაბარების აქტით;<br>6. ვიზუალური დათვალიერებით;<br>7. ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულებით);<br>8. პერიოდულ გამოცემასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა მზადაა სსსმ მოსწავლეების მისაღებად. სკოლას აქვს მოძრავი პანდუსი, რითაც მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია შენობაში შესვლა და შესაბამის სართულზე ასვლა. პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• მომსახურების ხელშეკრულებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის სარგებლობაშია 27 ცალი ნოუთბუქი, 16 ცალი პერსონალური კომპიუტერი, ერთი პროექტორი და ოთხი ცალი პრინტერი/ქსეროქსი. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული ნოუთბუქებით. სკოლას ემსახურება 2 ინტერნეტ პროვაიდერი კომპანია - „მაგთიკომი" და „გლობალ 1". მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ მოსწავლეებთან ერთად და მიიღონ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია.<br><br>სკოლას აქვს ვებ-გვერდი: highskolanino.ge სოციალური გვერდი და ელექტრონული ფოსტა highschoolnino@gmail.com, რომლებიც ასრულებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | 1. კომპიუტერული ლაბორატორიის ადგილზე დათვალიერებით;<br>3. სკოლის ვებ-გვერდით http:// highschoolnino.ge<br>4. სკოლის მიერ კომპიუტერული ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტებით;<br>5. ინტერნეტით მომსახურების ხელშეკრულებით;<br>6. ჩუქების ხელშეკრულებით;<br>7. დომენის და ჰოსტის რეგისტრაციის შესახებ ხელშეკრულებით; |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, სკოლაში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს, შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი. სკოლის ტერიტორია აღჭურვილია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით, კერძოდ ფხვნილოვანი ცეცხლმაქრებით (სულ 14 ერთეული ცეცხლმაქრი) და სპეციალური უსაფრთხოების სისტემით. შემუშავებულია ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, ადამიანთა უსაფრთხოებისა და სწრაფი ევაკუაციის უზრუნველსაყოფად სკოლის პერსონალის მოქმედების ინსტრუქცია.<br>ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. ყველა ცეცხლმაქრი გადამუხტულია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;<br>• სერთიფიკატები;<br>• ვიზუალური დათვალიერება.<br>• ევაკუაციის გეგმები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შესასვლელში და დერეფანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის სამსახურის ტელეფონის ნომერი - 112. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას პირველ სართულზე. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელსაც შეუძლია პირველადი დახმარება გაუწიოს სკოლაში მყოფ ადამიანებს. სკოლას აქვს პირველადი დახმარების აუცილებელი მედიკამენტები და ინვენტარი. სკოლა უზრუნველყოფილია ერთი სამედიცინო კაბინეტით რომელიც განთავსებულია მე-3 სართულზე.<br><br>დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლა ასევე დაუკავშირდება საგანგებო სიტუაციების სამსახურს 112 და გამოიძახებს სასწრაფო დახმარებას, რომლებიც დაშავებულს აღმოუჩენენ პირველად სამედიცინო დახმარებას.<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ექიმის კაბინეტი გადატანილიყო შენობის პირველ სართულზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• შესაბამისი დოკუმენტაცია და ხელშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლამ წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმოწერა „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების“ შეთანხმებასთან დაკავშირებით.<br><br>დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა წესრიგის დაცვის მიზნით, პრევენციისათვის პერიოდულად ორგანიზებას გაუწევს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის. ასევე სკოლაში 24 საათის განმავლობაში იქნება დაცვის თანამშრომელი, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას და სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები;<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;<br>• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმოწერა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმებაზე.<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

**ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს**

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების 35 კამერა (8 გარე პერიმეტრზე და 27 შიდა პერიმეტრზე), რომლებიც ყოველთვის უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. აქედან გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებული 2 ცალი ვიდეო კამერა შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. გარე კამერებიდან 1 ვიდეო კამერა დამონტაჟდა ვიზიტის დღეს. აღნიშნული კამერის დამონტაჟებით, ხილული გახდა სპორტულ მოედანთან მისასვლელი კიბის უჯრედი, რომლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაკონტროლებაც მანამდე შეუძლებელი იყოს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის საშუალებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიზაციის წესდება. ასევე შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულება, რომელიც განსაზღვრავს შპს „უცხო ენების უმაღლესო სკოლა ნინოს“ სტატუსს, მიზნებს და ამოცანებს, პრიორიტეტებს, სკოლის სტრუქტურას და მართვის მექანიზმებს, სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის, ტექნიკური პერსონალის ფუნქციებს, სკოლის სტრუქტურული ერთეულების - პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, კლასის დამრიგებლის ფუნქციებს, სკოლის ქონებისა და ფინანსების მარეგულირებელ ნორმებს, სკოლის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესს.<br>სკოლას აგრეთვე შემუშავებული აქვს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსისა” და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი. შინაგანაწესის მიზანია: სკოლის საქმიანობისათვის ხელშეწყობა, სკოლის მისიის შესრულება, სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა და ჩამოყალიბება. სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი და მისი თანამდევი ურთიერთობის მოწესრიგება და კონტროლი, სკოლაში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა, სასწავლო-სამუშაო დროის რეგულირება და რაციონალური გამოყენება, სკოლაში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის მოსწავლეთა ქცევის წესების მოწესრიგება და კონტროლი.<br>სკოლაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს“ წესდებით; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს“ დებულებით;<br>• შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს“ შინაგანაწესით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი - 2022-2028 წლების) და ერთწლიანი (2022-2023) სამოქმედო გეგმები.<br>სკოლის 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმა ასახავს სკოლის გრძელვადიან ხედვას, სკოლის მიზნებსა და ძირითად ამოცანებს. სტრატეგიული გეგმა, წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც დეკლარირებული მიზნების მისაღწევად ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტურ მუშაობას. აზუსტებს სტრატეგიულ მიმართულებებს, მიზნებს, ამოცანებსა და განსახორციელებელ აქტივობებს.<br>სკოლაში შემუშავებულია 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სკოლის განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად.<br>იგი მოიცავს სკოლის ფუნქციონირებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შემუშავებასა და სკოლის ორგანიზაციულ განვითარებას, სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვას, მშობელთა მუდმივ ჩართულობას სასწავლო-პროცესში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და ა.შ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს“ 2022-2028 წლების ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა<br>• შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინოს“ 2022-2023 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალს, საერთო და მოსწავლეებთან დაკავშირებული ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალს, თანამშრომელთა პირად საქმეებს და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალს. სარეგისტრაციო ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭედითა და დირექტორის ხელმოწერით, აღნიშნულით უზრუნველყოფილია მათი სანდოობა და მთლიანობა. სკოლაში ინახება ყველა დოკუმენტის დედანი ან ასლი. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>• სარეგისტრაციო ჟურნალები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | • დაწესებულება დარეგისტრირდეს: წყლის, ელ. ენერგიის და ბუნებრივი აირის მომხმარებლად, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის წარმართვა უსაფრთხო, კომფორტულ და ჰიგიენურ გარემოში.<br>• დაწესებულებამ იჯარის ხელშეკრულება გააფორმოს ავტორიზაციის ვადით. |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | • წყლის, ელ. ენერგიის და ბუნებრივი აირის მომხმარებლად დაწესებულება არ არის დარეგისტრირებული.<br>• იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 1 წლის ვადით. |
| სტანდარტის შეფასება | ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორი. სასწავლო და აღმზრდელობით პროცესს კი ხელმძღვანელობენ აკადემიური დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ხარისხის მართვის მენეჯერი.<br><br>სკოლაში, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, დასაქმებულია 58 მასწავლებელი (მათ შორის 5 დამატებითი სავალდებულო საგნის მასწავლებელი), ჩამოყალიბებულია სკოლის სტრუქტურა. თითოეული თანამშრომელი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.<br><br>სკოლაში ისწავლება 5 დამატებითი სავალდებულო საგანი: ცურვა, ჭადრაკი, რელიგიის ისტორია, ქართული ცეკვა და ჩინური ენა. სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. აღნიშნულ 5 საგანს ასწავლიან დამატებითი საგანმანათლებლო საგნის მასწავლებლები, რომლებსაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 53 |
| მოწვეული/მაძიებელი | 7 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 0 |
| უფროსი მასწავლებლი | 41 |
| წამყვანი მასწავლებლი | 5 |
| მენტორის სტატუსი | 0 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. თითოეული მასწავლებლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. პედაგოგები შერჩეული არიან კონკურსის წესით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინო“ შინაგანაწესი;<br>• შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინო“ კონკურსის ჩატარების წესი“;<br>• მასწავლებელთა პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაცია;<br>• მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლები; |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, სადაც გაწერილია მასწავლებლის სამსახურში მიღების პროცედურა.<br>პირველ ეტაპზე კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს რეზიუმე/CV, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სკოლის მიერ მოთხოვნილ კრიტერიუმებს, მეორე ეტაპს წარმოადგენს გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია კანდიდატს მოეთხოვოს საჩვენებელი გაკვეთილის ჩატარება. კანდიდატების გასაუბრებისას მოწმდება პედაგოგიური, დიდაქტიკური და საგნობრივი კომპეტენცია, პოზიციის შესაბამისი ცოდნა და უნარები. განცხადებების გავრცელება სკოლის ვაკანტური ადგილის შესახებ ხდება სხვადასხვა საშუალებებით (ვებ-გვერდები სამსახურის მაძიებელთათვის (pedagogi.ge; jobs.ge;). დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს სკოლის სტატუსი, ვაკანსიების pedagogi.ge-ზე გამოცხადება ვერ შეძლეს. ამიტომ კონკურსი გამოცხადებული იყო სკოლის ვებ-გვერდის საშუალებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, რომელიც გაფორმდება დირექტორის ბრძანებით. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.<br>რაც შეეხება დისციპლინურ პასუხისმგებლობას, სკოლის შინაგანაწესით ამომწურავად არის განსაზღვრული დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომებისა და პასუხისმგებლობის სახეები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინო“ შინაგანაწესი;<br>• კონკურსის ჩატარების წესი;<br>• ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინო“ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს შრომითი კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. ხელშეკრულებები გადანომრილია, მითითებულია ხელშეკრულების გაფორმების დრო და მოქმედების ვადა. ასევე ხელშეკრულებებში გაწერილია თანამშრომელთა ვალდებულებები და უფლებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შრომითი ხელშეკრულებები თანამშრომლებთან; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა განახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნულ ჯგუფს შემუშავებული აქვს დებულება.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა.<br><br>ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში განხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებები და შეხვედრები.<br><br>დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლის დირექცია თითოეული თანამშრომლის პროდუქტიულობის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების მიზნით, გამოიყენებს მოტივაციის ამაღლების, წახალისების, მონიტორინგის, შეფასების, პასუხისმგებლობათა დელეგირების, ურთიერთთანამშრომლობის, სწავლა-განვითარების (ტრენინგების ორგანიზების) მექანიზმებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „უცხო ენების უმაღლესი სკოლა ნინო“ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება<br>• ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები<br>• სხვადასხვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პასუხისმგებლობის გადანაწილებას; მასწავლებლების განცხადებით, ისინი შეეცდებიან მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები და პასუხისმგებლობით მოეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას.<br>სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება პოზიტიურ ურთიერთობებს, სადაც მოსწავლე იქნება დაფასებული და მასწავლებელთან ერთად პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.<br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში იქნება დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო დოკუმენტაციით<br>• მასწავლებლებთან გასაუბრებით<br>• სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი 21.07.2022

გვერდების რაოდენობა - 37 (ოცდაჩვიდმეტი) ფურცელი
დანართი - 6 (ექვსი) ფურცელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.